



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 407

“ 15 ” დეკემბერი 2020 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 11 დეკემბრის №20.1478.1810 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის №325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01203021154-67 (№01203322610-67; №01203423355-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.


2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი4 №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 20.1478.1810
11 / დეკემბერი / 2020 წ.

„ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 28 ოქტომბერს N01203021154-67 (N01203322610-67; N01203423355-67) განცხადებით მიმართა ნიკოლოზ კვირიკაძემ (პ/ნ 01008022852) და მოითხოვა „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ოქროყანის დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.15.01.004.019; N01.15.01.004.022; N01.15.01.004.017; N01.15.01.004.018; N01.15.01.004.020; N01.15.01.004.021; N01.15.01.004.024; N01.15.01.004.023) საპროექტო არეალის ფართობი: 20 000 კვ.მ. საპროექტო ტერიტორიის აღმოსავლეთით, დასავლეთითა და ჩრდილოეთით არეალი გაუწაშენიანებელია, სამხრეთით გვხვდება ძირითადად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, ასევე ტექნოპარკი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი 2-ის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის საზღვრებში პრიორიტეტად განისაზღვროს ბუნებრივი ლანდშაფტების ისტორიულად შენარჩუნებული არეალების დაცვა. ტერიტორიები, რომლებიც მოცემული ზონის ფარგლებში შესაძლოა არ ან/და აღარ ატარებდეს ისტორიულ ან ლანდშაფტურ ღირებულებებს და რომელთა განვითარება/ შენარჩუნების საკითხები უკვე განსაზღვრულია დეტალური ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით ან/და გაცემული ნებართვებით განვითარდეს შემოაღნიშნული დოკუმენტებისა და ასევე შესაბამისი უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის განვითარება განსაზღვრულია „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმით, წარმოდგენილი ცვლილების განხორციელებაც დასაშვებია.

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიას სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ნაცვლად დაუდგინდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) და



სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1), სადაც დაგეგმილი იყო 2 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

ფუნქციური ზონირება დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) - 18 232 კვ.მ

სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) - 1 768 კვ.მ

ფუნქცია: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით: საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1) -18 232 კვ.მ

კ1 - 0,1 - 1 823 კვ.მ

კ2 - 0,2 - 3 646 კვ.მ 2 სართული

კ3 - 0,3 - 5 469 კვ.მ.

საპროექტო წინადადებით მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ისა (სზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და ინდივიდუალური საცხოვრებელი განაშენიანების ნაცვლად დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის, ეკოუბნის მშენებლობა.

საპროექტო პარამეტრები:

სზ-3 - 20 000 კვ.მ

კ1 - 0,5 - 10 000 კვ.მ

კ2 - 1,5 - 30 000 კვ.მ მაქსიმალური სიმაღლე 15 მ.

კ3 - 0,3 - 6 000 კვ.მ. 4 სართული

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან

დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 4 დეკემბრის N01203393176 წერილის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 10 დეკემბრის N18-0120345492 წერილის შესაბამისად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, განმცხადებლის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტების დროს საპროექტო ტერიტორიაზე უნდა განხორციელდეს დამატებით იმ რაოდენობით მწვანე ნარგავების დარგვა, რომ სრულად იქნეს ათვისებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა N01.15.01.004.019, N01.15.01.004.017; N01.15.01.004.022; N01.15.01.004.018; N01.15.01.004.020; N01.15.01.004.021; N01.15.01.004.023; N01.15.01.004.024 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

წარმოდგენილი წინადადებითა და დასაბუთებით, დასაშვებია, „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016

წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01203021154-67 (N01203322610-67; N01203423355-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანას მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.15.01.004.012) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 ოქტომბრის N325 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **18 0120345492**
თარიღი: **10/12/2020**
პინი: **6760**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 7 დეკემბრის №01203423355-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ოქროყანის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.15.01.004.019, 01.15.01.004.017; 01.15.01.004.022; 01.15.01.004.018; 01.15.01.004.020; 01.15.01.004.021; 01.15.01.004.023; 01.15.01.004.024 ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 1 და სატრანსპორტო ზონა 1; საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 3) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **58 ძირი** მწვანე ნარგავი (ს/კ **01.15.01.004.017** - №2-3; №7-8; №15-16; №21-22; ს/კ **01.15.01.004.018** - №4; №28; ს/კ **01.15.01.004.019** - №3; №10; №14; №16; ს/კ **01.15.01.004.020** - №1; №4; ს/კ **01.15.01.004.021** - №41-42; №4 /; ს/კ **01.15.01.004.022** - №2; №4; №10-11; №22; ს/კ **01.15.01.004.023** - №7; №9; №18-19, №27-28, №31, №33, №35, №38-40, №43; №51; №65-66; №72; №77; №79; ს/კ **01.15.01.004.024** - №2 3; №5 7; №9; №12-13; №17; №21-24; №26; №28) განეკუთვნება ხილვენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-ვენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-ვენკროვანი ნარგავის გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული **58 ძირი** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-ვენკროვანთა სახეობას და თითოეულ საკადასტრო ერთეულზე მათი რაოდენობა არ აღემატება 15 ძირს, ხოლო დიამეტრი - 12 სმ-ს, მათი მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი **8 ძირი** ძეძვის ბუჩქი (ს/კ **01.15.01.004.017** - №6; ს/კ **01.15.01.004.021** - №40; ს/კ **01.15.01.004.023** - №5; №82; ს/კ **01.15.01.004.024** - №25; №27; №29; №51) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა მოიჭრას 01.15.01.004.023 საკადასტრო ერთეულზე **2 ძირი ზეხმელი** (№70; №71) ფიჭვი; 01.15.01.004.024 საკადასტრო ერთეულზე **1 ძირი ხმობადი** (№8) ხეშავი და 01.15.01.004.019 საკადასტრო ერთეულზე **1 ძირი ზეხმელი** (№9) ჩვეულებრივი ფიჭვი (**ჯამში - 4 ერთეული**) მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **58 ძირი მწვანე ნარგავი** წარმოადგენს ჯანსაღ ეგზემპლარებს, მათი დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **58 ძირი (ს/კ 01.15.01.004.017 - №4; №9; ს/კ 01.15.01.004.018 - №21; №25; №27; ს/კ 01.15.01.004.019 - №1-2; №4-8; №11; №13 №17; №19; ს/კ 01.15.01.004.021 - №31; №38-39; №43; №54; №60; №44-46; №48; ს/კ 01.15.01.004.022 - №3; №8-9; ს/კ 01.15.01.004.023 - №6; №8; №26; №29; №30; №32; №41; №45; №47-49; №54-58; №60; №62; №73; №78; ს/კ 01.15.01.004.024 - №4; №10; №16; №20; №31; №35-36; №49; №50)** მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **92 ძირი გადასარგავი (ს/კ 01.15.01.004.018 - №10 D=35.1 - კავკასიური აკაკი; №11 D=34.2; №12 D=36.9; №14 D=35.2; №16 D=41.4; №18 D=32.7; №19 D=42.8; №20 D=31; №22 D=61.5; №23 D=44.2; №26 D=32.1 - ჩვეულებრივი ფიჭვი; ს/კ 01.15.01.004.019 - №12 D=45.3; №18 D=47.1 - ჩვეულებრივი ფიჭვი; №15 D=41.2 - კაკალი; ს/კ 01.15.01.004.021 - №1 D=37.1; №6 D=44.3; №7 D=33.5; №8 D=27.2; №9 D=38.7; №10 D=37.6; №12 D=32.6; №24 D=41.6; №25 D=45.2; №26 D=30.2; №27 D=51.4; №28 D=46.9; №29 D=30.1; №30 D=35.7; №32 D=43.3; №33 D=43.4; №34 D=25.1; №35 D=36.5; №36 D=34.6; №37 D=61.6; №52 D=26; №53 D=46.1; №55 D=43.6; №61 D=69.9 - ჩვეულებრივი ფიჭვი; №63 D=27.8; №64 D=45.4 - სოფორა; ს/კ 01.15.01.004.022 - №6 D=43.7; №12 D=27.1; №13 D=34.4; №14 D=33.5; №15 D=33.3; №16 D=39.2; №17 D=29.4; №18 D=32.4; №19 D=39.1; №20 D=39.5; №23 D=39.1; №24 D=33.1; №25 D=45.2 - ჩვეულებრივი ფიჭვი; ს/კ 01.15.01.004.023 - №1 D=39.4; №2 D=32.2; №3 D=25.2; №4 D=36.2; №10 D=40.5; №11 D=33.6; №12 D=31.4; №13 D=42.3; №14 D=32.7; №15 D=26.2; №16 D=27.9; №17 D=35.6; №20 D=25.4; №23 D=41.2; №25 D=36.6; №63 D=27.; №64 D=49.3; №68 D=39.9; №69 D=36.1; №74 D=36.4; №75 D=30.7; №76 D=48.7; №80 D=28.8; №81 D=36.5 - ჩვეულებრივი ფიჭვი; ს/კ 01.15.01.004.024 - №30 D=30.2; №32 D=31.1; №33 D=32.8; №34 D=35.7; №37 D=37.5; №38 D=28.3; №39 D=35.1; №40 D=32.9; №41 D=35.9; №42 D=28.8; №43 D=28.4; №44 D=29.5; №45 D=29.5; №46 D=26.7; №48 D=35.6 - ჩვეულებრივი ფიჭვი)** მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს, დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, ხე, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების 21 მუხლის 1¹ პუნქტისა და 21¹ მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს თითოეულ ხეზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განხორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული: **79 ძირი** მწვანე ნარგავი, **გადასარგავი: 136 ძირი** მწვანე ნარგავი და **საპროექტოდ დასარგავი: 5 ძირი** ირმის რქა; 5 ძირი ამბრის ხე, 5 ძირი კორპუს მუხა, 5 ძირი ამერიკული ნეკერჩხალი) სრულად ვერ ითვისებს გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (6 000 მ²). შესაბამისად, განმცხადებლის მიერ მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს გათვალისწინებული უნდა იქნას ზემოაღნიშნული გარემოება და საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს დამატებით იმ რაოდენობით მწვანე ნარგავების დარგვა, რომ სრულად იქნას ათვისებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა **01.15.01.004.019, 01.15.01.004.017; 01.15.01.004.022; 01.15.01.004.018; 01.15.01.004.020; 01.15.01.004.021; 01.15.01.004.023; 01.15.01.004.024** საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გიგა გიგაშვილი

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ზომერი: 01203393176
თარიღი: 04/12/2020
პინი: 7770

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 27 ნოემბრის N 01203322610-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ოქროყანის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.15.01.004.024, 01.15.01.004.023, 01.15.01.004.021, 01.15.01.004.022, 01.15.01.004.019, 01.15.01.004.017, 01.15.01.004.020, 01.15.01.004.018) მრავალბინიანი საცხოვრებელი უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ, რომ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ ტერიტორიაზე იგეგმება კომპაქტური დასახლების შექმნა, ერთიანი სიმწვანის შენარჩუნება და შენობების ქოლტური განთავსების პრევენცია. ირკვევა, რომ დღეისათვის საპროექტო ტერიტორია დამაკმაყოფილებლად არის მომსახურებული საზოგადოებრივი ტრანსპორტით. ავტობუსების გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია (100მ-120მ). ამასთან, მიმდებარე ქუჩებზე (ინოვაციის ქუჩა) განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

საქვეითე ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით პრობლემები გვხვდება საკვლევი არეალის უმეტეს ნაწილზე. უშეალოდ, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ტროტუარი მოსაწესრიგებელია, თუმცა აღნიშნული გზის (ინოვაციის ქუჩა) პარამეტრები იძლევა ტროტუარის მოწყობის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ საქვეითე ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნული მდგომარეობა განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.

საავტობუსე ქსელის გაუმჯობესების შემდგომ, მოსალოდნელია მიმდებარე ტერიტორიებზე ძირითადი გამტარი კვანძების მიმართულებების საგრძნობლად განმუხტვა. დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდგომ ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



DOI: 10.1002/for


$\mathbb{R}^n$ is a vector space over $\mathbb{R}$.

1000000	1000000
---------	---------

1307765-0 (9.46/10.56) 300827


[illegible]

500	A2
-----	----











$\Gamma_{\Delta}(\mathbb{Z}) \cong \Gamma_{\Delta}(\mathbb{Z}) \times \Gamma_{\Delta}(\mathbb{Z})$
 $\Gamma_{\Delta}(\mathbb{Z}) \cong \Gamma_{\Delta}(\mathbb{Z}) \times \Gamma_{\Delta}(\mathbb{Z})$




0.0000




100	9116
DWG	


[illegible]



1 3651250 44




2	3640220	5.5
---	---------	-----



3	36(1822) 6-6
---	--------------



[illegible][illegible]

05091001 10091001 25091001
10092500 10092500 10092500

[illegible]